



TBC CAPITAL

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების სექტორის მიმოხილვა

მაისი 2025

ანდრო თვალაშვილი

ვიცე პრეზიდენტი, კვლევები


- ძირითადი გასაღების ბაზრებში, FMCG და HORECA ინდუსტრიებში, მომდევნო წლების განმავლობაში მდგრადი ზრდის ტემპების შენარჩუნებაა მოსალოდნელი;
- მიუხედავად იმისა, რომ 2024 წელს ადგილობრივი ლუდის წარმოების მოცულობა ძირითადად უცვლელად შენარჩუნდა, ფასების ცვლილებამ მნიშვნელოვნად გაზარდა წარმოებული პროდუქციის ღირებულება;
- ლუდის ადგილობრივი მოხმარება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იზრდება და 2024 წელს ახალ მაქსიმუმს მიაღწია. წლიურ მაჩვენებლებში ასევე ჩანს იმპორტირებულ ლუდზე გაზრდილი მოთხოვნა;
- გაზრდილი შიდა მოთხოვნა, განსაკუთრებით იმპორტირებულ ლუდზე, იმპორტის მნიშვნელოვან ზრდასა და ექსპორტის შემცირებაში გამოიხატება;
- უაღკოპოლო სასმელების ადგილობრივი წარმოება სტაბილურად იზრდება როგორც აბსოლუტურ, ასევე ღირებულების ჭრილში, და მოსალოდნელია, რომ მიმდინარე წელს მილიარდ ლარს გადააჭარბებს;
- უაღკოპოლო სასმელებზე შიდა მოთხოვნა ძირითადად ადგილობრივი წარმოებით კმაყოფილდება, რაც ბოლო წლებში თითქმის უცვლელი იმპორტის მოცულობებით დასტურდება;
- უაღკოპოლო სასმელების ექსპორტი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2024 წელს 150 მილიონ ლიტრს მიაღწია.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სტაბილურმა ინფლაციამ FMCG ბაზრის შემოსავლების ზრდის ნორმალიზებას შეუწყო ხელი, რაც საშუალო ვადიან პერიოდში შენარჩუნდება



FMCG ბაზრის შემოსავლები

მლრდ ლარი, დღგ-ის ჩათვლით




ხელფასის მიმღებთა რაოდენობის, და განსაკუთრებით საშუალო ხელფასის მიმღებთა რაოდენობის ზრდა ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია ადგილობრივი მოსახლეობის მოხმარების ზრდისთვის



ხელფასის მიმღებთა რაოდენობა შემოსავლის ჯგუფების მიხედვით


1,000 ადამიანი, ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით



HORECA-ს ინდუსტრია, მეორე ძირითადი გასაღების ბაზარი ლუდისთვის და არაალკოჰოლური სასმელებისთვის, ძლიერ ზრდას ინარჩუნებს. საშუალო ვადიან პერსპექტივაში ზრდის შენარჩუნებაა მოსალოდნელი



საქართველოს HORECA ინდუსტრიის შემოსავლები მლრდ ლარი, დღგ-ის ჩათვლით




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი


ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი აშშ დოლარში სწრაფად აღდგა პანდემიის შემდეგ, თუმცა ტურისტული ვიზიტების რაოდენობა მხოლოდ 2024 წელს დაბრუნდა 2019 წლის დონეზე. ზრდა გრძელდება პირველ კვარტალშიც, რაც დადებით მოლოდინს ქმნის



შემოსავალი ტურიზმიდან
მლნ აშშ დოლარი




ტურისტული ვიზიტები საქართველოში
1,000 ვიზიტი



წყარო: სეზ, GNTA, თიბისი კაპიტალი

საქართველოს ლუდის წარმოების მოცულობაში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებები არ დაფიქსირებულა, ხოლო 2024 წელი ზრდის მხრივ ყველაზე ნელი აღმოჩნდა – წლიურმა ზრდამ მხოლოდ 1%-ს შეადგინა

ლუდის ადგილობრივი წარმოება საქართველოში მილიონი ლიტრი



წყარო: საქსტატი; *წინასწარი მონაცემები




მიუხედავად იმისა, რომ წარმოების მოცულობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა, საშუალო საცალო ფასების ზრდამ საქართველოში წარმოებული ლუდის ღირებულების მკვეთრი ზრდა გამოიწვია



საქართველოში წარმოები ლუდის ღირებულება


მლნ ლარი, დღგ-ის და აქციზის გადასახადის ჩათვლით



საქართველოში წარმოებული ლუდის საშუალო საცალო ფასი ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა



საქართველოში წარმოებული ლუდის საშუალო ფასი და წლიური ინფლაცია ლუდზე
ლარი/ლიტრი, დღგ-ის და აქციზის გადასახადის ჩათვლით




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი; *წინასწარი მონაცემები

მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნის უმეტესი ნაწილი ადგილობრივი წარმოებით
კმაყოფილდება, იმპორტული ლუდი საქართველოში მომხმარებელთა შორის მზარდ
პოპულარობას იძენს



ადგილობრივი ლუდის მოხმარება საქართველოში მილიონი ლიტრი




წყარო: შემოსავლების სამსახური, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: ერთეული აქციზური მარკის შესაბამისი მოცულობა ეფუძნება ისტორიული მონაცემების საშუალო მაჩვენებელს

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ლუდის მოხმარებაში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება



15+ მოსახლეობაში ლუდის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, 2020


ლიტრი წელიწადში



მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ლუდის ექსპორტში ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა, 2024 წელს ექსპორტის მოცულობამ მნიშვნელოვანი, 15%-იანი შემცირება განიცადა



ლუდის იმპორტი და ექსპორტი
‘000 ტონა



ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, 2024

იმპორტი:

- გერმანია, 31%
- რუსეთი, 17%
- თურქეთი, 15%
- ჩეხეთი, 7%
- უკრაინა, 6%


ექსპორტი:

- ყაზახეთი, 31%
- სომხეთი, 18%
- რუსეთი, 8%
- აზერბაიჯანი, 5%
- ისრაელი, 5%

ისტორიულად იმპორტირებული და ექსპორტირებული ლუდის საშუალო ფასები ერთმანეთთან საკმაოდ მიახლოებული იყო. თუმცა, 2024 წელს ექსპორტირებული ლუდის საშუალო ფასი უცვლელი დარჩა, ხოლო იმპორტირებული ლუდის ფასი წლიურად 7%-ით შემცირდა


ლუდის საშუალო საიმპორტო და საექსპორტო ფასები

აშშ დოლარი/ლიტრი



პანდემიის შემდგომი სამი წლის განმავლობაში ორნიშნა ზრდის ძლიერი ტემპების შემდეგ, უალკოჰოლო სასმელების წარმოების მოცულობა შედარებით დასტაბილურდა და 2024 წელს წლიურმა ზრდამ 5% შეადგინა

უალკოჰოლური სასმელების ადგილობრივი წარმოება საქართველოში
მილიონი ლიტრი




წყარო: საქსტატი; *წინასწარი მონაცემები



მიუხედავად წარმოების მოცულობის სტაბილიზაციისა, ფასების ცვლილებებმა და პროდუქციის მრავალფეროვანმა შემადგენლობამ წარმოების ღირებულება 2024 წელს თითქმის ერთ მილიარდ ლარამდე გაზარდა




საქართველოში ნაწარმოები უალკოჰოლური სასმელების ღირებულება მლნ ლარი, დღგ-ის და აქციზის გადასახადის ჩათვლით



ულკოპოლო სასმელების იმპორტი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად უცვლელი დარჩა, მაშინ როდესაც ექსპორტმა ამავე პერიოდში მყარი ზრდა აჩვენა და 2024 წელს 150 მილიონ ტონას მიაღწია

ულკოპოლური სასმელებით საგარეო ვაჭრობა მილიონი ლიტრი




ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, 2024

იმპორტი:	ექსპორტი:
რუსეთი, 23%	რუსეთი, 47%
პოლონეთი, 17%	აზერბაიჯანი, 14%
თურქეთი, 17%	ყაზახეთი, 11%
უნგრეთი, 6%	სომხეთი, 10%
ავსტრია, 5%	უზბეკეთი, 5%

ლომისი კვლავ ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ კომპანიად და ბაზრის ლიდერად რჩება შემოსავლების თვალსაზრისით. ლომისის შემოსავლებმა საქართველოს ოთხი უმსხვილესი მწარმოებლის ჯამური შემოსავლის 47% შეადგინა




ლუდის და უალკოჰოლური სასმელების ძირითადი მწარმოებლების რეალიზაციები მლნ ლარი, დღგ-ის და აქციზის გადასახადის გარეშე



პანდემიის შემდეგ ბაზრის ოთხი უმსხვილესი მოთამაშის შეწონილი საშუალო საერთო მოგების მარჟა კლების ტენდენციით გამოირჩეოდა, თუმცა 2023 წელს სტაბილურად შენარჩუნდა




ლუდის და უალკოჰოლური სასმელების ძირითადი მწარმოებლების საერთო მოგების მარჟა %



მიუხედავად იმისა, რომ ქართული კომპანიების საერთო მოგების მარჟა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ევროპული კომპანიების მარჟას, ზოგადი დინამიკა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შესადარისია



ლუდის და უალკოჰოლური სასმელების შეწონილი საშუალო საერთო მოგების მარჟა %





სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ები), პარტნიორ(ები), თანამშრომელ(ები), დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ები) ან აგენტ(ები) („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიღლებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოსწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას შესაბამისი პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს საფაქრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.

7 Marjanishvili Str., Tbilisi 0102, Georgia
Tel: +995 32 2 272727 | +995 32 2 272733

Email: Research@tbccapital.ge
Email: Macro@tbcbank.com.ge

www.tbccapital.ge
www.investing.tbccapital.ge



თიბისი კაპიტალი

www.tbccapital.ge